განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს პარლამენტის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების დახვეწის საჭიროება.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი

რეგლამენტის პროექტის მიზანია დროებითი კომისიის საქმიანობის ხელშეწყობა და პარლამენტის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა წინასაარჩევნო პერიოდში.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი

რეგლამენტის პროექტის თანახმად, იმ დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადა, რომელიც შეიქმნა პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად, გარდა პარლამენტის რეგლამენტის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შემთხვევისა, შეიძლება გაგრძელდეს პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით არა უმეტეს 6 თვის ვადით, პარლამენტის დადგენილებით.

ამასთან, რეგლამენტის პროექტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წელს არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში, როგორც წესი, არჩევნები არ ტარდება. ამ პერიოდში, თუ იგი ემთხვევა მორიგი სესიის პლენარულ სამუშაო ციკლს, საჭიროების შემთხვევაში პლენარულ სხდომებს იწვევს პარლამენტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით. სხვა შემთხვევაში პლენარული სხდომა მოიწვევა და ტარდება რიგგარეშე სხდომისათვის ამ რეგლამენტის 130-ე მუხლით დადგენილი წესით.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებები.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

რეგლამენტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

რეგლამენტის პროექტის მიხედვით დროებითი კომისიისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შემთხვევაში შესაბამისი ხარჯები გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფო ახალი ფინანსური ვალდებულებები

რეგლამენტის პროექტით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

რეგლამენტის პროექტის მიღება არ მოახდენს რაიმე სახის ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზეც გავრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

რეგლამენტის პროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

რეგლამენტის პროექტი არ არის დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

რეგლამენტის პროექტი არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღებს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაწესებულებებს ან ექსპერტებს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ

ამგვარი შეფასებანი არ არსებობს.

დ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი

რეგლამენტის პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი

დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი

რეგლამენტის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი